თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. თელავი 19.04.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გივი ლაფაური; გიორგი ხაჭაპურიძე; გიოორგი ქართლელიშვილი; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**; დეპუტატი - **მიხეილ დაღუნდარიძე; ლევან ბერძენაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **დავით ქსოვრელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **გიორგი თავზერიძე;** ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახური"-ს დირექტორი - **ივანე იორდანიშვილი;** მოქალაქე - **არჩილ მჭედლიშვილი; გიორგი პაპაშვილი.**

**თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი**

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   **მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი**

2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

   **მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი**

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, პროექტის განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი**

<u>**მოისმინეს:**</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- **ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხის ასახვაში. აგრეთვე, ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე N7 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არსებული კონსტრუქციული გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით თანხების მობილიზებაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 54202,66 ათასი ლარის ოდენობით. მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში, გაიზარდოს გრანტების მუხლი, სხვა ტრანსფერები - 74,3732 ათასი ლარით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულება);

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

შემცირდეს სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებების (კოდი 02 06 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 65,097 ათასი ლარით, PIRDP პროექტების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით; შემცირდეს სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის (კოდი 02 11) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 26,798 ათასი ლარით, სოფ. ართანაში მდინარე ,,დიდხევის" კალაპოტში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის სამუშაოების ტენდერიდან წარმოქმნილი ეკონომიის გათვალისწინებით;

გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის (კოდი 01 01 02) სხვა ხარჯების მუხლი 42,895 ათასი ლარით გათავისუფლებული თანამშრომელის განაცდური ხელფასის და კომპენსაციის ანაზღაურებისათვის;

გაიზარდოს ბინათმშენებლობის ღონისძიებების (კოდი 02 05) სხვა ხარჯების მუხლი 49,0 ათასი ლარით ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე N7 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არსებული კონსტრუქციული გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის;

გაიზარდოს საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 04 04) საქონელი და მომსახურების მუხლი 74,3732 ათასი ლარით, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის მომსახურების ანაზღაურებისათვის (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულება).

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით.

ოთარ ესიტაშვილი - ხომ არ ჯობია ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე N7 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არსებული კონსტრუქციული გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება დაეკისროს კომპანიას, რომელმაც სამუშაოები შეასრულა. რაზეც უპასუხეს, რომ დაზიანება გარემოს ზემოქმედებით მოხდა და კომპანიის ბრალეულობა არ იკვეთება.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ ცვლილებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

<u>მოისმინეს:</u> 2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადი მიმოხილვა გააკეთა საკითხთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა ივანე იორდანიშვილს.

მან დეტალურად ისაუბრა ქ. თელავში მოძრავ (M3 კატეგორია) ავტობუსებზე, მარშუტებზე, მგზავრთა ნაკადზე და მგზავრთა მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებზე.

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მუხლი 1-მა. სადაც ჩამოყალიბებულია, რომ რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 1.00 (ერთი) ლარით.

ი. იორდანიშვილის თქმით კარგი იქნება თუ მგზავრობის ტარიფი განისაზღვრება 0.80 (ოთხმოცი) ლარით, რითაც კონკურენციას გაუწევს კერძო ტაქსებს.

ზ. ლილუაშვილი - საზოგადოებრივი ტრანსპორტმა არ უნდა იმუშაოს მოგებაზე, არამედ უნდა იყოს ოპტიმალური. მართალია 0,80 ლარის შემთხვევაში ხარჯების დაფარვა ვერ მოხდება სრულად და ნაწილის სუბსიდირება მოხდება მუნიციპალიტეტის მხრიდან. სამაგიეროდ გვეყოლება კმაყოფილი მოსახლეობა, რაზეც ძირითადად ჩვენი საქმიანობაა ორიენტირებული.

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს მუხლი ერთის ცვლილებას და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით : მუხლი 1 - თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 0,80 (ოთხმოცი) ლარით.

ასევე მსჯელობის საგანი იყო, წარმოდგენილი პროექტის მუხლი 2-ის პუნქტი 11. სადაც წერია - თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე 50%-იანი შეღავათით სარგებლობის უფლება მიეცეთ შემდეგ პირთა კატეგორიებს: 11. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტში.

კომისიის წევრების გადაწყვეტილებით აღნიშნული მუხლიდან ამოღებულ იქნას „მასწავლებლები", ჩაემატოს სტუდენტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტში.

ასევე ზ. ლილუაშვილის წინადადებით, კარგი იქნება 0-დან 10 წლამდე ბავშვების მგზავრობა იყოს უფასო.

<u>გადაწყვიტეს:</u> წარმოდგენილი პროექტი, კომისიაზე წამოჭრილი შენიშვნების გათვალისწინებით, წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს: 3.</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ, პროექტის განხილვის თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა კომისიას წარუდგინა კომისიის დებულების პროექტი. რომელიც კომისიის წევრებთან ერთად მუხლობრივად განიხილა. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების პროექტს.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი